№ 23 იანვარი 30, სამშაბათი 1889 იანვარი 30 სამშაბათი № 23

# ივერია


გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889


## „ივერია“

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში).

**ქუთაისში:** ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისი, 30 იანვარი

მოსკოვის უნივერსიტეტი, რომელიც დაარსებულია წარსულს საუკუნეში, 1755 წელს უძველესი უნივერსიტეტია რუსეთში. ამ ხნის განმავლობაში ამ უნივერსიტეტს მრავალი მეცნიერი და მწერალი, მრავალი მხნე და პატიოსანი მოღვაწე მოუმზადებია და მიუცია მამულისათვის. ერთის სიტყვით, ამ უნივერსიტეტს დიდი სამსახური მიუძღვის სამშობლოს წინაშე და თითოეული გონიერი რუსი დიდის პატივისცემითა და თანაგრძნობით იხსენიებს უნივერსიტეტის სახელს—განსაკუთრებით მოსკოვისას, რომლის მოწაფენი განბნეულნი არიან მთელს რუსეთის სივრცეზე და სხვა-და-სხვა სარბიელზე იღვწვიან. ეს მოწაფენი ყოველს წელიწადს 12-ს იანვარს იხდიდნენ ამ უნივერსიტეტის დაარსების დღეობას. ეს გასაკვირველიც არ არის. განა ადამიანმა არ უნდა გადაიხადოს დღეობა იმ სასწავლებლისა, საცა სწავლა-მეცნიერება შეუძენია, საცა მოუსმენია ფხიზელი და მართალი სიტყვა საუკეთესო მეცნიერთა და მწერალთა, საცა გაუტარებია თავისი ახალგაზდობა და ბევრი სიამოვნება უგემებია და იმისი ლი და გული გატაცებული ყოფილა კეთილისა და პატიოსანის აზრითა და გრძნობითა. დიაღ, ეს სრულიადაც გასაკვირველი არ არის და ადამიანთათვის სავალდებულოა ყოველის კეთილის საქმისა და დაწესებულების მოგონება და დღეობის გადახდა. ამითი ადამიანი თვალწინ დაიყენებს ხოლმე კეთილს საქმეს, გაიხსენიებს იმის თავგადასავალს და ჟითონაც მხნეობს, რაკი დარწმუნდება, რომ კეთილი საქმე ხეირობს და იზრდება. მაგრამ საქმეც ის არის, თუ როგორ უნდა გადაიხადოს კაცმა კეთილის საქმის დღეობა, რითი უნდა აღბეჭდოს ეს დღეობა, რათა ხელი მოუმართოს კეთილს აზრსა და საქმეს?

მოსკოვის უნივერსიტეტის მოწაფენი ყოველ წელიწადს იხდიდნენ ამ სასწავლებლის დღეობას. ისინი მოსკოვში და სხვა ქალაქებშიაც თავს იყრიდნენ, ჰმართავდნენ სადილს და ამ სადილზე იხსენიებდნენ თავიანთს ახალგაზდობას, პროფესორებსა და ამხანაგებს და თანაც კარგად სჭამდნენ და სვამდნენ. წლიდგან წლამდე ეს ჩვეულება ისე განმტკიცდა, ისე გაუჯდა ძვალ-რბილში საზოგადოებას, რომ მეცნიერების ტაძრის დღეობის გადახდა ჭამა-სმით არავის არ ეჩოთირებოდა და არავის აზრადაც არ მოსვლია, შესაძლოა თუ არა იმ დღეობის უფრო შესაფერად გადახდა. პირ იქით, ყველა თითქო დარწმუნებული იყო, რომ, თუ არა ჭამა-სმით, სხვაფრივ დღეობის გადახდა შეუძლებელია. ამ სახით ამ ჩვეულებისავს, ყოველ წლიურს სადილს წლიდგან წლამდე დიდძალს ფულს ანდომებდნენ, რამდენიმე ასი და ათასი კაცი ყოველს წელიწადს სადილს ჰმართავდა და ეგოდენი ფული სულ განუსაზღვრელ სმა-ჭამაზე მიდიოდა. განა მარტო მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსების დღეს დღესასწაულობდნენ ჭამა-სმით? ვინ მოსთვლის რამდენი სადილი იმართება ყოველ წელიწადს სხვა-და-სხვა კეთილის საქმისა და დაწესებულების დღეობის გადასახდელად. ამ სახით ამ სადღეობო ჭამა-სმისთვის ანგარიშ-მიუწდომელი ფული და ხარჯული და იხარჯება და აზრადაც არავის მოსვლია, რომ შესაძლოა დღეობის უფრო შესაფერად გადახდა და ეგოდენის ფულის უკეთ მოხმარება.

ასე მოდიოდა საქმე წლევანდლამდე. წელს-კი ამ გარემოებას ყურადღება ათხოვა გამოჩენილმა რუსის მწერალმა ლევ ტოლსტოიმ, რომელმაც ამ გვარს სადღეობო სმა-ჭამას და ფულის ფლანგვას უძღვნა აზრითა და გრძნობით სავსე სიტყვა. ეს სიტყვა იმდენად ძლიერი და სამართლიანი არის, რომ ისინიც-კი, ვისაც ჩვეულებად აქვს გადაქცეული სადღეობო ჭამა-სმა, ერთბაშად გონს მოვიდნენ და გულში ჩაიჭდიეს გამოჩენილის მწერლის სიტყვა. წელს მოსკოვის უნივერსიტეტის მოწაფეთ კიდეც გამოაცხადეს, რომ 12-ს იანვარს სადღეობო სადილი იქნება გადახდილი და თითო კაცმა ექვსი მანეთი სადილის ფული უნდა წარმოადგინოსო, მაგრამ, რაკი გაისმა ძლიერი ხმა გამოჩენილის მწერლისა, ჩაუკვირდნენ თავიანთს ჩვეულებას და გარდასწყვიტეს სასადილოდ შეგროვილი ფული რომელსამე კეთილს საქმეს მოახმარონ.

რა სთქვა ისეთი გამოჩენილმა მწერალმა, რომ ძვალ-რბილში გამჯდარს ჩვეულებაზე ხელი ააღებინა რამდენსამე ათასს კაცს? ბევრი არაფერი, მაგრამ რაც სთქვა, იმდენად მართალი და ადვილად მისახვედრი იყო, რომ წინააღმდეგი არავის ეთქმოდა. დედა-აზრი ლ. ტოლსტოის სიტყვისა ის არის, რომ განათლებულს კაცს მეცნიერების ტაძრის სადღეობოდ სმა-ჭამა, ლოთობა და ქეიფი არა ჰმართებსო და თუ უნდა დღეობა გადაიხადოს, კეთილის საქმით უნდა აღბეჭდოს იგი დღეობაო. განათლებული კაცი, რომელიც სულითა და გულით ჰგრძნობს მეცნიერების ძლევა-მოსილობას, პატივსა სცემს მეცნიერების ტაძარს, სადაც სული და გული გამოჰკვება მეცნიერთა მოძღვრებით, მეცნიერების საზოგადო წარმატებას უნდა უმართავდეს ხელს და სადილი კი, რომელსაც დიდ-ძალ ფულს ანდომებს, ხელს უმართავს-კი არა ამ საგანს, პირ-იქით უჭრყვნის ადამიანსაო. ბევრი მაგალითი ყოფილაო,

## ფელეტონი

### ბიბლიოგრაფია

**(Дѣтское чтеніе и игры, ихъ связь и значеніе—А. Словинскій. Тифлисъ, 1888 годъ).**

ამ სათაურით ტფილისში დაიბეჭდა შარშან ერთი პატარა წიგნი, რომელიც დიდის ყურადღების ღირსია როგორც მასწავლებელთა, აგრეთვე მშობელთა მხრივ. მაშინ-როდესაც ზოგი ჟურნალ-გაზეთი ყველაფერს ამყარებს დღიურ პოლიტიკაზე და ხან მუქარით გვანადგურებს, ხან ცბიერებით გვიბამს თვალებს, იმის მიხედვით, თუ რომელი ქარი დაუბერავს ხოლმე ზევიდამ, ამ დროს თითქო საგანგებოდ გამოჩენილა ჩვენში ერთი კაცი, რომელსაც სრულებით გვერდზე გადაუდვია დიპლომატიური პოლიტიკა, თუ პოლიტიკური დიპლომატია, და მთელი ძალა თავისის ჭკუისა, ცოდნისა და გამოცდილებისა დაუდვია იმ საგნის გამოსაკვლევად, რომელიც მაღლა დგას ყოველ პოლიტიკაზე და რომელიც შეეხება მხოლოდ იმას, თუ რა ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ საუკეთესო შვილები დავუმზადოთ ქვეყანას როგორც გონებით, აგრეთვე ჯან-მრთელობით.

ეს საგანი ძველია, რადგან მზრუნველობა ახალ თაობის საუკეთესო აღზრდისა მუდამ შეადგენდა პირველ საქმეს ყოველის რიგიანის მოღვაწისას, რომელსაც-კი იცნობს ისტორია, მაგრამ ამავე დროს მუდამ ახალი არის და იქნება ყველასათვის, ვისაც გული ერჩის ცხოვრების განვითარებისა და წარმატებისათვის, ვისაც სწყურია, რომ შვილი მამას სჯობდეს, შვილმა უდიდესი და უკეთესი სამსახური გაუწიოს ქვეყანას, ვიდრე მამამ. მიზეზიც ეს არის, რომ ჩვენ დღეს ამ საგანზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი. ჩვენი უგულითადესი სურვილია, რომ ქართველმა მასწავლებლებმაცა და მშობლებმაც ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ პედაგოგიურს წერილებს საზოგადოდ და იმათში ბ-ნ სლოვინსკის წიგნს განსაკუთრებით, რადგან ამ პატარა წიგნში სწორეთ ჩინებული ბილიკია გაკვეთილი იმ დაბურულ ტყეში, რომელსაც წარმოგვიდგენს საგანი, თუ რა უნდა ვაკითხოთ ბავშვებს და რა ნაირი თამაშობა და დროების-გატარება ვუნახულოთ, რომ თან გასართობიც იყოს და თან არც მავნებარი ჯან-მრთელობისთვის.

საუბედუროდ, ჩვენში მხოლოდ იშვიათს მასწავლებელს აქვს შეგნებული თავისი მნიშვნელობა და მოვალეობა მოსწავლის მიმართ და უფრო იშვიათია მშობელი, რომელიც მართალის გულით ზრუნავდეს თავისის შვილების სათანადო აღზრდაზე. უმეტესად ისეა ხოლმე, რომ მასწავლებელი სრულებით დამშვიდებულადა ჰგრძნობს თავისს სინიდისს, თუ შეგირდი გაიზეპირებს მიცემულს გაკვეთს და თუთიყუშივით გადაბულბულებს სიტყვა სიტყვა, გინდ ესმოდეს აზრი ამ სიტყვა-წინადადებისა, გინდ არა. მასწავლებელს სრულებით არ ენაღვლება ის, თუ რა ზედმოქმედებას მოახდენს შეგირდზე ეს, ან ის გაკვეთილი, ეს ან ის წიგნი, რა აზრს გამოიწვევს ბავშვის ნორჩ ტვინში ეს, ან ის სიტყვა და სხვანი.

ჩვენი მშობლები ხომ ჯერ იქამდე უბადრუკს ყოფაში არიან, რომ ჰგონიათ, ვითომც თავიანთი მოვალეობა სრულებით შეასრულეს, რაკი შვილები სასწავლებელში მისცეს. ოღონდ ანბანა და ანსკრი-უნსკრი-კი ისწავლონ მათმა შვილებმა და მეტი საჭირო არა არის-რა, მათის აზრით.

**

ასეთს დაბალს ლობეზე სდგას ჩვენში შეგნება პედაგოგიურის აღზრდისა და რა თქმა უნდა, რომ ჩვენი მოზარდი თაობა სრულებით მოკლებულია იმ სიკეთეს, რომელსაც აძლევს ბავშვს ჯეროვანად განვითარებული მასწავლებელი და საკუთარის მოვალეობის მცოდნე მშობელი. ჩვენს ახალგაზდობას არა ჰყავს რიგიანი ხელმძღვანელი, რომელსაც შეეძლოს ყური უგდოს ყმაწვილის სულისა და გულის წყურვილს, მიაწოდოს მის გონებასა და გრძნობას მხოლოდ ისეთი საზრდო, რომელიც შესაფერად გამოჰკვებავს იმის ტვინის მოთხოვნილებას, და მოარიდოს ისეთი საგანი, რომელსაც შეუძლიან სამუდამოდ მოხიბლოს, დაამახინჯოს და მიასუსტოს ძალა ბაშვის ჭკუა-გონებისა.

ამ მხრით სწორეთ საუნჯეა ეს პატარა ბროშურა ბ-ნის სლოვინსკისა. ავტორს თავიდამ აუცილებია დაწვრილებითი დასახელება იმ წიგნებისა, რომელიც უნდა ვაკითხოთ ბავშვებს, და არც საჭირო იყო ამისი ჩამოთვლა, რადგან ევროპის მწერლობაში იმდენია ამ გვარი თხზულება, რომ მარტო იმათი კატალოგი უშველებელი ტომი გამოვიდოდა. სამაგიეროდ ავტორი გარკვევით და გასხვებად გველაპარაკება იმაზედ, თუ რა გვარი უნდა იყოს თხზულება, რომელსაც ხელში აიღებს ბავშვი და ჩვენც სწორეთ აქ ვხედავთ დიდს ღირსებას ბ-ნ სლოვინსკის ბროშურისას.

გამოცდილებით ვიციო — ამბობს ბ-ნი სლოვინსკი და ჩვენც ორის ხელით დავემოწმებით, —რომ ნაკლებად არის გაგებული ის, თუ რა გვარი კითხვა არგებს ყმაწვილს და რომელი ავნებსო. საყმაწვილო წიგნებს ბევრნი აცხობენ და უმეტესი ყურადღება იმაზეა მიქცეული, რომ რაიმე შეუძლებელი და საშინელი ამბები აჰკინძონ ერთმანეთზედ და გაიტაცონ ბავშვის წარმოდგენა, ფანტაზიაო. ბაშვს საზოგადოდ ნაკლებ ესმის გარშემორტყმული ცხოვრება და ამიტომ ოცნებას დიდი ადგილი უჭირავს მის გონებაში. ამისი შედეგი ის არის, რომ ყოველ გვარ დაუჯერებელს, სასწაულმოქმედებითს ამბავს ძალიან დიდი მიმზიდველობა აქვს მისთვის. ავტორის აზრით, საჭიროა, რომ ხელმძღვანელმა უფრო-კი არ გააზვიადოს და ხელი არ შეუწყოს ამ მიდრეკილებას ბავშვისას, არამედ ეცადოს, რომ შეძლებისამებრ შეაკვეცოს ფრთა ახირებულს ოცნებას და სინამდვილის საზღვრებში მოამწყვდიოს მისი გონება, ცნობის-მოყვარეობა, გაუღვიძოს ხალისი ცხოვრებისა და ბუნების გაცნობისა, შესწავლისა.

რაკი ერთხელვე შეეჩვევა ყმაწვილი იმისთანა წიგნების კითხვას, სადაც მრავალი უბედურება, ვაი-ვაგლახია აწერილი, სადაც დაუჯერებელ ამბავს მოსდევს უფრო უცნაური, ამას შემდეგ აღარ მოსწონს ისეთი წიგნები, სადაც აწერილია ყოველ დღიურ დამჯდარ ცხოვრების ვითარება, ანუ ბუნების ავი და კარგი მოვლენა. ბაშვს უფუჭდება გემოვნება და იმის თვალში წიგნი მოკლებულია ყოველ გვარს ღირსებას, თუ იქ ერთი-ერთმანეთზე არ არის გადაბმული ათასი უცნაური და მოგონილი შემთხვევა, კაცის კვლა, სისხლის ღვრა და სხვანი.

**

უპირველეს ყოვლისაო —სამართლიანად ამბობს ბ-ნი სლოვინსკი— ყმაწვილს უნდა შეაყვაროთ კითხვა ისეთის წიგნებისა, სადაც გამოხრილია სურათი ბავშვების ცხოვრებისა, რადგან მისთვის ეს ცხოვრება გასაგებიაო. დიდების ავ-კარგიანობისა ჯერ ნაკლები ესმის ყმაწვილს, არ ესმის იმათი აზრი, მათი ჩვეულება, ვერ გაიგებს იმ გვარ დროს გატარებას, რომელსაც მისდევენ დიდ-

ამბობს ლ. ტოლსტოი, რომ ახალგაზდა უმანკო კაცი ამ სადღეობო სადილზე პირველად დამთვრალა და შეეჩვევია ქეიფსა და ლოთობას. მაშინ-როდესაც მდაბიო, უმეცარს, ტანჯვა-წვალებით წელში გაწყვეტილს ხალხს ვკიცხავთ ლოთობისათვის, განათლებულის ხალხის სადღეობო სმა-ლოთობასა და მსუნაგობას ისე ვუყურებთ, თითქო თავ-მოსაწონი საქმე იყოს. სად სწავლა-განათლება და სად სმა-ლოთობა და მსუნაგობა, მაგრამ არავინა ჰგრძნობს, რომ „შუა უძევს დიდ ზღვარი“. განათლებული კაცი თავისის სმა-ლოთობით მდაბიო ხალხს აც ჰრყვნის და პატივისცემასა და სიყვარულს ჰკარგავს. აბა, რა უნდა შეიძინოს და რა ზნე უნდა გადაიღოს მოსამსახურემ, რომელიც სადღეობო სადილზე თავს დასტრიალებს და უვლის გალექილს, ღვინით გაქლენთილს განათლებულს კაცს! თუ მაინცა და მაინც თავი ვერ შეგიკავებიათ და მსუნაგობასა და ლოთობაზე ხელი ვერ აგიღიათ, მალულად თქვენს ოთახში გაიქლენთეთ და საქვეყნოდ მაინც ნუ გამოდიხართ გალექებულნი და გაპირუტყვებულნიო. თუ გონივრულად, ადამიანურად ცხოვრება გინდათ, ნუ დაივიწყებთ, რომ გონიერება და ადამიანობა კეთილის საქმის სამსახური და ერთგულებააო. ერთის სიტყვით, „რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილიო“.

ა. ნა—ლი

# ახალი ამბავი

*** კვირას ქართულმა დრამატიულმა დასმა ითამაშა ორი პიესა— „ახალი დროის გმირი“ ბ-ნის დავით სოსლანისა და „დავიდარაბა“, გადმოკეთებული თ. დავით ერისთავის მიერ. „ახალი დროის გმირი“ ახალი პიესა ცოცხალის ენით არის დაწერილი. ეს არის ღირსება ამ პიესისა, ხოლო რაც შეეხება იმის ნაკლულევანებებს, უმთავრესი ის არის, რომ ერთი ძაფი ვერ არის გაბმული თავიდამ ბოლომდე. პიესა შესდგება ორის მოქმედებისაგან. პირველი მოქმედება წარმოგვიდგენს სასაცილო ვოდევილს, მეორე მოქმედება საშინელს დრამას და არ ვიცით, პიესას რადა ჰქვიან კომედია. ხალხი კარგა ბლომად დაესწრო წარმოდგენას.

„დავიდარაბამ“ ძალიან ბევრი ასიამოვნა მაყურებელი და კარგადაც შეასრულეს, თუმცა ბოლო მოქმედება როგორღაც უკუდო გამოვიდა. გადმოკეთებული-კი მართლა ქართულს გემოვნებაზეა.

*** ჩვენ ვნახეთ დიდი სურათი შოთა რუსთველისა, დახატული ბ-ნ გოლოვინის მიერ. სურათი სიგრძით ერთი ადლია და სიგანით ერთი არშინი. ჩვენი დიდებული პოეტი ძალიან მოსაწონად არის დახატული. მხატვარს განზრახვა აქვს დაჰბეჭდოს ლიტოგრაფიით რამდენიმე ასი ცალი გასასყიდად. სანიმუშო სურათი გამოკიდული იქნება „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში. სურათი ეღირება მანეთ-ნახევარი, ხოლო ვინც ამ თავითვე მოაწერს ხელს, დაეთმობა ერთ მანეთად. ხელის მოწერა მიიღება „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში.

*** ბ-ნ ექვ. ხელაძეს სტამბაში იბეჭდება ახალი პირველ-დაწყებითი საარითმეტიკო სახელმძღვანელო ბ-ნის ა. ნატროშვილისა.

*** **სამურზაყანო**: „ივერიის“ მკითხველს მოეხსენება, რომ სამურზაყანოს სამღვდელოებასა და სკოლებს ხარჯს აძლევს კავკასიის მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება. ოც-და-ექვსი წელიწადი გადის, რაც ზემოხსენებული საზოგადოება იღვწის სამურზაყანოში. ზემოხსენებულ „საზოგადოებას“ გამართული ჰქონდა მხოლოდ ორი სკოლა: ერთი დ. ოქუმში ორ-კლასიანი და მეორე სოფ. დიხაზურგაში ერთ-კლასიანი მთელს სამურზაყანოში სადაც 36 ათასამდე მცხოვრები ითვლება, მხოლოდ ეს ორი სკოლა იყო აქამომდე. ეხლა-კი ყოვლად სამღვდელო სოხუმის ეპისკოპოზ გენადის თაოსნობით თითქმის სამურზაყანოს ყველა სოფელში გამართულია სამრევლო სკოლა. ისეთი სკოლა იშვიათია ჩვენში, სადაც ყოვლად სამღვდელო გენადის ხუთ-ექვს თუმნამდე საკუთარი ფული არა ჰქონდეს შეწირული. გარდა ამისა იგი ხშირად მიმართავს ხოლმე სხვა-და-სხვა ქალაქს და საზოგადოებას და სთხოვს შემწეობა აღმოუჩინონ სკოლებს. ამას წინად ბათუმის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორმა, ბ ნმა ბოლდანოვმა, ყოვლად სამღვდელო გენადის თხოვნისამებრ შემოსწირა სამურზაყანოს სკოლებს სხვა-და-სხვა სამოსწავლო ნივთი სამას ცხრამეტ მანეთისა.

ახლად გამართული სკოლა სამურზაყანოში რიცხვით თოთხმეტია. ჯერ-ჯერობით მასწავლებლებად თითქმის ყველგან სასულიერო სასწავლებელში კურს შესრულებული ყმაწვილი კაცებია. ორს სკოლაში-კი მასწავლებლად ქალები არიან, რომელთაც სწავლა მიუღიათ სოხუმის საქალებო პროგიმნაზიაში. ყოვლად სამღვდელო გენადის განკარგულებით სამურზაყანოს სამრევლო სკოლების გამგებლებად დანიშნულია სამი მღვდელი: ოქუმის ორ-კლასიანის სკოლის მასწავლებელი და იმავე მრევლის მეორე მღვდელი ნიკოლოზ შენგელაია, მეორეც—საბერიოს მრევლის მღვდელი იოანნე კვეჟარაძე და მესამეც—ჭიბურის ეკლესიის საეკკლესიო სამრევლო სკოლის მასწავლებელი მღვდელი ბესარიონ გაბისონია. ორს პირველს ტფილისის სემინარიაში აქვს კურსი დამთავრებული.

ამასთან არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ბ-ნი ახალი უფროსი სამურზაყანოს განყოფილებისა, გორჩაკოვი, დიდს ყურადღებას აქცევს სკოლებს.

*** გაზ. „Рус. Вѣд.“-ში სწერია: შაბათს, 31 იანვარს, სობრანიის დარბაზში მოსკოვის შეუძლებელ ქართველთათვის დანიშნულია ქართული წარმოდგენა. ითამაშებენ თ. გიორგი ერისთავის პიესას. წარმოდგენის შემდეგ გაიმართება ცეკვა-თამაში. ამ ცეკვა-თამაშის დროს გრაფი თ. ლ. სოლოგუბი გამართავს ცხოველს სურათებს სახელოვანის ქართველთ პოეტის შოთა რუსთველის პოემიდამ. მუსიკა რიაზოვისა იქმნება. ლეკურს ითამაშებენ ქართულს ტანისამოსში ქართულისავე საკრავების აყოლებითაო.

*** მეხუთე ნაწილში, 28 იანვარს, ღამე, ვიღაც ბოროტ-მოქმედებმა გასტეხეს ფანჯრები გიგო ონიკაძის დუქნისა, მიჩეთის პატარა ქუჩაზე, თათრის მეიდანთან; შევიდნენ დუქანში, გაალეს დახლის ყუთი და ამოიღეს 15 მანათის თეთრი და შავი ფული. მერე იქიდამ გასტეხეს კედელი ორის დუქნისა: ერთი აკოფა არუთინოვისა და ერთი რასულ ბეგ საშაკოვისა. წაიღეს ერთიდამ 9 მანათიანი საათი და 5 მანათი ფულად, მეორედამ—4 მანათი. დაკარგულის ნივთების საპოვნელადა და თვით დამნაშავეთა აღმოსაჩენად ღონისძიებაა მიღებული.

*** 29 ამ თვისას, მეექვსე განყოფილებაში, სპარსეთის ქვეშევრდომმა ალი-აბრახ-ბოგირ-ბეგოვმა ხეხუთით სამჯერ დასჭრა სპარსეთის ქვეშევრდომი მაჰმედ-სეიდ-აჯალალ-ოღლი, რომელსაც ერთი ჭრილობა მუცელში აქვს და ორიც გულში. დამნაშავე შეუპყრიათ. დაჭრილი სამკურნალოში გაუგზავნიათ. გამოძიება სწარმოებს. მიზეზი ის არის, რომ ალი-ბოგირ-ბეგოვს აჯალალ-ოღლის ჯავრი სჭირებია.

*** 28 ამ თვისას, ხოსროევის ქარვასლაში, მერვე განყოფილებაში, პოლიციელმა შეიპყრო შუშის მცხოვრები ორაზ - შაქარ-ოღლი, რომელსაც მოეპარა თოფის წამლით სავსე ყუთი. თოფის წამალი საარტილერიო საწყობში გაგზავნეს და ორაზ-შაქარ-ოღლი სამართალს მისცეს.

*** 29 ამ თვისას, მეათე განყოფილებაში, ალექსანდრეს ქუჩაზე, უპოვნიათ მიგდებული ბავშვი, ყმაწვილი ხუთის კვირისა უნდა იყოს. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

*** მეათე განყოფილებაში პოლკოვნიკ ზალეის სადგომის წინა ოთახიდგან ვიღაცას მოუპარავს ორი პალტო. დამნაშავეს ეძებენ.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

თელავი. თელავის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა დაარსებულია 1-ლ იანვარს 1884 წლისას. ეს პაწია ამხანაგობა თავდაპირველად ძლიერ ყოჩაღად მიდიოდა წინ. გამგეობის წევრნი მოქმედობდნენ ძლიერ მოშურნე და ფხიზლად. სოფელშიაც საჩქაროზე გავარდა ხმა ამ კეთილს დაწესებულებაზე. თვით თელაველებს გარდა დიდ-ძალი მაზრის გლეხობა ჩაეწერა ამხანაგებად. მართალია, ამხანაგობას თავდაპირველად ფული ცოტა ჰქონდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც დიდს დახმარებას უწევდა თელავის ახალგაზდობა: ზოგი 200—300 მანეთს უსარგებლოდ აძლევდა და უმართავდა ხელს ამხანაგობას, რათა იგი პირ-ნათლად გასძღოლოდა თავისს საქმეს და ხელ-ცალიერი არ გაეშვა თავისი წევრი, მეტადრე სოფლიდგან ჩამოსული. ამას ამხანაგობა

---

რონნი. ძალიან ფრთხილად უნდა შეიყვანონ ბავშვის გონება იმ ცხოვრებაში, რომელსაც ატარებენ უფროსნი. აქ ავტორს მოჰყავს ჩინებული სიტყვები ბიომესი და ლეზგავეტისა და ეს სიტყვები დიდის ყურადღების ღირსია. აი რას ამბობს ბიომე: „ძალიან ცუდად იქცევიან, რომ ბავშვები დაჰყავთ კონცერტებსა და თეატრში ანუ სხვა ამ გვარ სამხიარულო ადგილებში. ამითი აძალადებენ ყმაწვილს და ატრიალებენ იმის გონებას სრულებით უცნობ საგნებში, რომელნიც არ შეესაბამებიან მათს ფიზიკურს განვითარებას და მათს ჭკუის ძალას. ესეთი საქციელი იმას ჰგავს, რომ კუჭი გამოუვსო ბავშვს ხილეულობით მაშინ, როდესაც რძის მეტს ვერას მოინელებს. ამისი შედეგი ის არის, რომ ყმაწვილი უდროოდ ბერიკაცდება და უმოკლდება ახალგაზდობა, რომელიც ბედნიერი და საუკეთესო დროა ადამიანის ცხოვრებისა და რომლის სათუთი გაფრთხილება და შენახვა ჩვენი მოვალეობაა“.

ლეზგავეტს თავისის თვალით უნახავს ერთი ცხრა წლის ქალიშვილი, რომელიც მისმა მშობლებმა მოატარეს თითქმის მთელი დასავლეთი ევროპა. ამ ერთი ბეწვა ბავშვს უკვე ნანახი ჰქონდა თითქმის ყოველივე „საკვირველება და ხელოვნური ნაწარმოები, იგი ეტარებინათ თეატრებში, ბალებსა და ათას ნაირ წარმოდგენებზე... თითონაც იღებდა ეს ბავშვი მონაწილეობას ცოცხალ სურათებში და მრავალ გვარ უცნაურ წარმოდგენებში. მისი დღეობა ერთის ამბით იდღესასწაულეს მისმა მშობლებმა და ჩირაღდნებით გააჩაღეს თავიანთი სახლი სოფელში, სადაც იმ დროს სცხოვრებდნენ. ამ დროს თვით ეს ბავშვი, სხვა-და-სხვა აჭრელებულ საცმელებით მორთული, იდგა აივანზე, რომელიც განათებული იყო ბენგალის ცეცხლით, და წინაშე მთელის სოფლის ხალხისა ერთის ამბით კითხულობდა ზეპირად ლექსებს. მშობლებმა არა დაჰზოგესრა, რომ გაერთოთ და გაემხიარულებინათ თავიანთი კერპი. ის-კი არა თუ ამ საყვარელმა კერპმა, შემდეგ ლხინისა, ასეთის დარდიანის სიტყვებით მიჰმართა თავისს დედას: „უჰ, რა მოსაბეზრებელი რამ არის ყოველივე ესაო!“ შედეგი ასეთის მზრუნველობისა ის იყო, რომ ბავშვი სრულებით მოიშალა ჯანითაცა და გონებითაც, ყოველ დღიურ ცხოვრებას არა ჰქონდა ფასი იმის თვალში, სრულებით დაეკარგა ნიჭი ერთ რასმეზე ხანგრძლივ ეფიქრნა. ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ ბავშვს ეღარ შეეძლო ესწავლა სკოლაში“.

**

ყმაწვილს უთუოდ უნდა ეტყობოდეს ყმაწვილობა და იმის გონებას საგანიც ისეთი უნდა მიაწოდოთ, რომელსაც შესწვდებოდეს და რომლის მონელებაც არ გაუძნელდეს. სიბრალულის მეტს არას აღძრავს თქვენში, როდესაც შეჰხვდებით ბავშვს, რომელიც მოგითხრობთ მაღალ ფარდების საქმეებზე, ადამიანის დანიშნულებასა და მოვალეობაზე წინაშე ღვთისა, ქვეყნისა, საზოგადოებისა, ხალხისა და სხვანი. „ჩვენ თითონ ვხედავთ— ამბობს ბ-ნი სლოვინსკი—რანი შეიქმნენ ის ყმაწვილები, რომელნიც 12—15 წლისანი კითხულობდნენ შექსპირის თხზულებებს, ტოლსტოის, ტურგენევისა და სხვების დიდრონ ნაწერებს. ამის გამო იმათ ვერ იგემეს ისეთის წიგნების კითხვა, რომელიც მათს ასაკს შეეფერებოდა, ვერც იმას მოერივნენ, რასაცა კითხულობდნენ, და დღეს იმათ, რასაკვირველია, არ ესმით-და წიგნის ფასი, არ იციან კითხვის ყადრიო“.

ავტორის აზრი ის არის და ყველანიც უნდა დაეთანხმნენ, რომ ბავშვს წიგნმა უნდა განუცხოველოს შესწავლა იმ საგნებისა, რომელთაც უკვე მიიპყრეს მისი ყურადღება, უნდა შეიყვაროს ცოდნა და გაგება ყოველ დღიურ ცხოვრებისა და გარშემორტყმულ ბუნებისა, რაც-კი მისი საკბილოა. ამას შემდეგ კარგი ზედ-მოქმედება აქვს ყმაწვილის ტვინსა და ზნეობაზე სახალხო ზღაპრებს, რომლებშიაც ზნეობრივს სისუფთავესა და სიკეთეს კარგა დიდი ადგილი უჭირავს. ეს ზღაპრები აყვარებენ ბავშვს ადამიანობას, რიგიანობას, კეთილ - მოქმედებასა და აძულებენ სიბოროტეს. ამავე დროს სახალხო ზღაპრების ღირსება სხვათა შორის ისიც არის, რომ მათი აზრი ადვილად მისახვედრი და გასაგებია თვით ბავშვებისათვისაც-კი.

როდესაც ამ გვარის კითხვით ყმაწვილი ცოტათი აახელს გონების თვალს, ძალიან კარგი იქნება კითხვა სხვა-და-სხვა მოგზაურობისა, აღწერა სხვათა ხალხთა ცხოვრებისა. ამისთანა კითხვა ყმაწვილს აძლევს ახალს მასალას, ახალ გარემოებას, მისი გონება ეჩვევა საგნების შედარებასა და დაახლოვებას, იმათის მსგავსებისა და განსხვავების შეგნებასა და სხვანი.

დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს ბავშვისათვისაო—განაგრძობს პატივცემული პედაგოგი—ისტორიულ მოღვაწეთა ცხოვრების აღწერას. ასეთის წიგნების კითხვა საუკეთესოდ აღვიძებს და აცხოველებს მოზარდის გულში სიკეთისა და მართლის სიყვარულს, პატიოსნებასა და სათნოებას. „მაგალითს ძალიან დიდი ადგილი უჭირავს კაცის ცხოვრებაში. ზოგჯერ მარტო შეხვედრა პატიოსანისა და დაუღალავის მოღვაწისა დიდს კვალსა სტოვებს კაცის გულში და კარგი ნაყოფიც მოაქვს მისთვის. ადამიანის ხასიათი ბევრით არის დამოკიდებული მაგალითზე: ჩვენ თითქმის ძალაუნებურად მივიღებთ ხოლმე ისეთს ფერს, როგორი ფერიც ადევთ ჩვენს ნაცნობთ. მიაწოდეთ მკითხველ-ბავშვს კარგი ნიმუშები, რიგიანი ბიოგრაფიები და იმას ისეთი მაგალითები ედგება თვალ წინ, რომელთაც ეცდება მიჰბაძოს“. აქვე ავტორს მოჰყავს ამბავი, რომელსაც მოგვითხრობენ ბიოგრაფები აბრაამ ლინკონისა, რომ თავის სიყმაწვილეში ლინკოლნი, შვილი ღარიბ ახალ-შენის კაცისა, იწერთნებოდა ვაშინგტონის ცხოვრების აღწერით. ამ წიგნს არას დროს არ იშორებდა თავიდამაო.

ჩვენი მცირე შენიშვნა ამ პატარა წიგნზე გავათავოთ სმაილსის სიტყვებით, რომელიც გადმოწერილია ბ-ნ სლოვინსკის ბროშურაში: „პატიოსნურად და ნიჭიერად აღწერილს ცხოვრებას გამოჩენილის კაცისას აღმაფრთოვანებელი ზედ-მოქმედება აქვს მკითხველზე. იგი აჩვენებს, თუ როგორ უნდა გამოიყენოს კაცმა თავისი სიცოცხლე. იგი ამხნევებს ჩვენს სულს, აცხოველებს იმედს, გვაძლევს მომეტებულს ღონეს, გვიძლიერებს მამაცობას და გვმატებს რწმენას ადამიანის სიკეთისა და ჩვენის თავის იმედს. იგი აღვიძებს ჩვენში სიკეთის ძიებას. გვამხნევებს მოღვაწეობისათვის და გვაძლევს ხალისს, რომ ჩვენც მივიღოთ მონაწილეობა იმ საქმეში, რომელიც თავს უდვიათ აღწერილ კაცებს. ამ კაცების გაცნობა, მათის ცხოვრების შეგნება, მათი მაგალითი—ესე ყოველივე იმას ჰნიშნავს, რომ თქვენ სცხოვრებთ მხარ და მხარ საუკეთესო კაცებთან და იმყოფებით რჩეულ საზოგადოებაში“.

ბოლოს ვისურვებთ, რომ ჩვენს მასწავლებლებსა და მშობლებსაც გულზე მოეკიდებინოთ საგანი შვილების აღზრდისა, როგორც მოითხოვს დღევანდელი პედაგოგია.

სანო

იმიტომ სჩადიოდა, რომ კარგად იცოდა, რამდენი პირ-აშვებული სახელის გამტეხი მტერი ჰყავდა. ესა და სხვა საკეთილო დაწესებულებანიც ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა წინ, მანამ თვით თელავის საზოგადოებაში ძლიერი განხეთქილება და უსიამოვნება არ ჩამოვარდა.

რაკი ერთხელვე განხეთქილება დაიბადა, ბევრმა კეთილის მოსურნემ აიცრუა გული და ბევრმაც ზურგი შეაქცია როგორც ამხანაგობას, ისე სხვა კეთილ დაწესებულებასაც. აი ამ დროიდგან იწყება როგორც ამხანაგობის დაქვეითება, ისე სხვა საქმეებისაც. 1887 წ. გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა იმ ზომამდე მივიდა (იხ. „ივერია“ № 206, 1887 წ.), რომ დახლიდარი ხშირად ბანკის კარებსაც არ აღებდა, რადგანაც დახლში აღარა ეგულებოდა-რა...

გაუტეხეს ბანკს სახელი და ნდობა, როგორც დაუძინებელმა მტრებმა, ისე ამ დროის გამგეობის უხერხულებამ. ცავიდა ამხანაგობიდგან დიდ-ძალი წევრი და გაიტანეს თავიანთი წილი ფული. მოვალეები აღარ იხდიდნენ ვალს. ძე უკან-უკან მიდიოდა ამხანაგობის საქმე 1888 წლის მარიამობის თთვემდე. მარიამობისთთვის გასულს შეგროვდა ამხანაგობა, მოიფშვნიტა თვალები, გამოფხიზლდა, თელავის ახალგაზრდობამ ერთმანეთს მხარი მისცა და ამოირჩიეს გამგეობის წევრნი: ბ-ნი ივ. როსტომაშვილი (დროებით, რადგანაც რჩევის წევრი იყო და არის), ბბ. ი. რუსიშვილი და ა. ბარნოვი. ამათ დაიქირავეს მაშინვე ახალი დახლიდარი, ბ-ნი ნ. თუშაბრამიშვილი, რომელსაც შემოატანინეს წინდად 400 მან. იმ პირობით, რომ თუშაბრამიშვილი თუ წინანდელ დახლიდარივით ზარმაცად და დაუდევრად მოიქცეოდა, ან იოტის ოდენად დაარღვევდა ამხანაგობის წესდებასა და არ იმოქმედებდა ამხანაგობის სასარგებლოდ, ამ საწინდარ ფულზე ხელი უნდა აეღო. მართლაც, ახლად ამორჩეულ გამგეობის წევრთ არ გაუცრუვდათ. საცადი და მოლოდინი წრევანდელმა ანგარიშმა გვიჩვენა, რომ, როგორც ბ-ნთ გამგეობის წევრთ, ისე ახალს დახლიდარსაც არ სძინებიათ და ორ-ოლის წლის შემოუტანელი ვალი, რომელიც დაკარგულად ითვლებოდა, ამ მოკლე ხანში გადაუხდევინებიათ მოვალეთათვის, მცირეოდენს ნაწილს გარდა.

22 იანვარს ამ 1889 წლისას მოჰხდა საზოგადო კრება ამხანაგობისა. კრება იყო დანიშნული კლუბის დარბაზში. წევრნი საკმაოდ დაესწრნენ კრებაზე; განსაკუთრებით ბევრი იყო სოფლებიდგან ჩამოსული გლეხ-კაცობა. კრების თავ-მჯდომარეთ იყო ბ-ნი ნოდარ ჯორჯაძე, ბ-ნ ივ. როსტომაშვილმა მოახსენა კრებას შემდეგი ანგარიში:

1 იანვარს 1888 წ. წილის ფული იყო 4330 მ. 64 კ., სასარგებლოდ შემოტანილი ფული 766 მ. 71 კ., სათადარიგო თანხა 77 მ. 17 კ. და მოგება 94 მ. 74 კ., სულ ამავე დროისთვის იყო გასესხებული 5184 მ. და ნაღდი 85 მ. 76 კ.

1888 წლის განმავლობაში შემოსულა ამხანაგობის დახლში წილის ფული—1184 მ. 37 კ, სარგებელი გასესხებულის ფულისა—610 მ. 2 კ., ჯარიმა—181 მ. 22 კ., დაუბრუნებიათ ნასესხი—8178 მ. და 56 კ., სასარგებლოდ შემოუტანიათ 2044 მ. ამავე წელში გაუტანიათ წილის ფული—1574 მ. და 49 კ., გაუსესხებიათ 8619 მ., სასარგებლოდ შემოტანილი ფული გაუტანიათ—1517 მ., გამგეობის ხარჯი ყოფილა 500 მ. და 13 კაპ.

1889 წ. 1 იანვრისათვის აღმოჩნდა წილის ფული—3940 მ. და 52 კ., სასარგებლოდ შემოტანილი—1293 მ. და 71 კ., სათადარიგო თანხა—85 მ. და 50 კ., წმინდა მოგება 1888 წლისა—307 მ. და 27 კ. ამავე დროსთვის იყო გასესხებული—5624 მ. და 44 კ., ნაღდი—2 მ. და 56 კ.

კრებამ დაამტკიცა ანგარიში. ბოლოს ბ-ნ ილია ზარაფიშვილმა აღძრა ლაპარაკი იმაზე, რომ ამხანაგობის წესდება ქართულად დაიბეჭდოს. მაშინ წამოდგა გლეხი და მოახსენა კრებას შემდეგი: „ძაან კარგი იქნება, შენი ჭირიმე, დაგვიბეჭდავდეთ წესდებას ქართულად და ჩვენც დაგვირიგებდეთ, რომ ჩვენც გავიგოთ რიგი და წესი ამ ბანკისა. აბა, ეს ოთხი წელიწადია ამხანაგათ გახლავართ ბანკში და ჯერ ამ ბანკის რიგისა და წესისა არა ვიცით-რა. ჩვენ ყველანი გთხოვთ და ბევრი სხვა ამხანაგი გლეხობაც, რომ უთუოდ დაგვიბეჭდოთ ქართულად ბანკის წესდებაო“. კრებამ ერთ-ხმად გადასწყვიტა: დაიბეჭდოს ქართულად ამხანაგობის წესდება არა ნაკლებ 1200 ეგზემპლიარისა და გადასდვა ამისათვის მოგებიდგან 35 მან. დანარჩენი მოგება კრებამ გაანაწილა ასე: 30 მან. 70 კ. გადაიდვას სათადარიგო თანხაში, 3 მ. გაეგზავნოს პეტერბურგის კომიტეტს, ხოლო დანარჩენი ($6^1/_2$%) განაწილდეს წილის ფულზე. ბოლოს გამგეობამ მისცა საზოგადო კრებას შემდეგი რჩევა: სახელმწიფო ბანკიდგან 4000 მან. ვისესხოთ, რადგანაც დღევანდელის ამხანაგობის თანხა სრულებით ვერ აკმაყოფილებს ამხანაგობის საჭიროებას და ხშირად ფულის მთხოვნელი ამხანაგი თთვეზე მეტს უცდის ფულის გატანასაო და, რადგანაც თავის დროზე ფულს ვერ ჰშოულობენ, ბევრი საიმედო წევრი გადის ამხანაგობიდგანაო. ამ აზრმა ბევრი ყოყმანი და აყალ-მაყალი გამოიწვია ზოგიერთთა წევრთა შორის— ვაი თუ ვალი დაგვატყდეს თავზე გადასახდელადაო, მაგრამ ბ-ნმა ილია ზარაფიშვილმა და ივ. როსტომაშვილმა დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ მაგისი ფიქრი ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ჩვენ ძლიერ დიდი უფლება გვაქვს წესდების ძალით მონიჭებული გასესხებულ ფულის ასაკრებად. ეს იქიდამაცა სჩანსო, რომ ამ წარსულ ოთხიოდ თთვის განმავლობაში მთელი ორი წლის შემოუტანელი და თითქმის დაკარგულად ჩასათვლელი ფული 2000 მანეთამდე მთლად ავკრიფეთ, ოციოდ თუმანს გარდა და იმასაც იმედია ამ დღეებში შემოვატანინებთო. ბ-ნ ივ. როსტომაშვილის სიტყვის წარმოთქმის შემდეგ კრებამ ერთ-ხმად დაამტკიცა ისესხოს სახელმწიფო ბანკიდგან 4000 მანეთი.

მეთვალყურე

---

# უცხოეთი

---

ავსტრი-ვენგრია. გაზეთები ისევ რუდოლფის გარდაცვალებაზე ლაპარაკობენ. ზოგი დაწვრილებით გვიამბობს, რა ნაირად გაატარა უკანასკნელი დღენი მემკვიდრე პრინცმა; ზოგი მოგვითხრობს, რა გლოვა და მწუხარება გამოიწვია ამ ამბავმა თუ ავსტრი-ვენგრიაში და თუ მთელს ევროპაში; ზოგი კიდევ ეჭვით უცქერის ყოველ გვარ ამბავს რუდოლფის გარდაცვალებისას და სცდილობს მიხვდეს, რა უნდა ყოფილიყო მიზეზი მისის ასე უდროვოდ სიკვდილისაო. მართლაცა-და მემკვიდრე პრინცის გარდაცვალება ისეთის საიდუმლოებით არის გარემოცული, იმდენი სხვა-და-სხვა მიზეზი იქმნა დასახელებული მისის სიკვდილისა, რომ არავის არ შეუძლიან ნამდვილად და დაჭეშმარიტებითა სთქვას: აი ამა-და-ამ მიზეზით მოესპო ასე ადრე და მალე სიცოცხლე იმას, ვისაც ბევრნი იმედს და ნუგეშს ეძახდნენ ავსტრი-ვენგრიისასაო. ბერლინის გაზეთები ჰკიცხავენ კიდეც ავსტრი-ვენგრიას, რა არის, ჰმალავენ თუ როგორ არის იმათი საქმე, რომ აქამომდე მემკვიდრე პრინცის გარდაცვალების მიზეზი ვერა შეგვიტყვია-რაო. ზოგიერთი გაზეთები ამ საიდუმლოებით გარემოცულის სიკვდილის გამო იგონებენ ასეთსავე სიკვდილს გამბეტასას, ბავარიის მეფის ლიუდვიგ მეორისას, გენერალის სკობოლევისას და სხვა-და-სხვა გადაკვრითა და ნართულის სიტყვებით ვილასაც სცემენ ცხვირში, ვილასაც ამხელენ, ვილასაც ამტყუნებენ. როგორც-კი გაჩნდება შესანიშნავი კაცი რომელსამე ქვეყანაში, გაჩნდება და ათასს გვარს იმედს განუცხოველებს თავის ერს, სწორედ ამ დროს გამოტყვრება სრულიად მოულოდნელად რამე მიზეზი და ეს შესანიშნავი კაცი, ეს იმედი და ნუგეში თავის ქვეყნისა უეცრივ, საიდუმლოდ გაჰქრება და საუკუნოდ მოისპობა მისი სიცოცხლე მისთა მტერთა გასახარელად და მოყვარეთა სამგლოვიაროდ. მტერნი ამ სიკვდილს თავისებურს მიზეზებს მოუძებნიან ხოლმე ან გაავრცელებენ ხმას, რომ გაგიჟდა, ჭკუაზე შეიშალა ხალხის სიყვარულისა და თავის გამარჯვების გამო და უთუოდ თითონვე მოუღო ბოლო თავისს თავს იმ დროს, როცა ძრიელ მოერია სიგიჟეო; ან სცენაზე გამოიყვანენ საეჭვო ყოფა-ქცევის დედაკაცებს, მოაჭორებენ რომანის მსგავსს ისტორიას და სიკვდილს შესანიშნავის კაცისას დაუკავშირებენ ასეთს ამბავსა. ნამდვილი მიზეზი-კი ხშირად და ძალიან ხშირად გამოურკვეველი რჩება და სამწუხარო შემთხვევას საიდუმლოების ზეწარი ეფარება სამუდამოდ.

რუდოლფის სიკვდილის მიზეზად ასახელებენ სხვათა შორის იმასაც, რომ ვითომ პრინცი ერთმა ეგერმა დასჭრა გაუფრთხილებლობის გამოვო. ამბობენ იმასაც, რომ ვითომ პრინცს, როცა ნადირობიდამ დაბრუნდა, ეტლი გადაუბრუნდა, ამ დროს გავარდა მისივე თოფი და დასჭრა პატრონიო, იმასაც ამბობენ, რომ ვითომ ეგ სიკვდილი შედეგი იყო ამერიკულის დუელისა ქალის სიყვარულის გამოვო. იმასაც ამბობენ, ვითომ პრინცი მოჰკლა ეჭვით შეპყრობილმა კაცმა, რომელმაც შური იძია თავისის სახელის შეურაცყოფისათვისაო. მაგრამ ყოველივე ესე, როგორც ჰხედავთ, მითქმა-მოთქმასა და ჭორს უფრო ჰგავს, ვიდრე მართალსა.

— მოგვყავს კიდევ ზოგიერთი ცნობანი მემკვიდრე პრინცის რუდოლფის ბიოგრაფიიდამ. ჯერ ისევ ყმაწვილი იყო რუდოლფი, რომ ერმა შეიყვარა თავისი მემკვიდრე პრინცი. მაშინვე მოუთხრობდნენ საზოგადოებაში ბევრს ისეთს რასმე, რაიცა ამტკიცებდა ყმაწვილის გონებასა და ჭკუასაო. პირველად მასწავლებლად ჰყოლია რუდოლფს სამხედრო კაცი, რომელიც სცდილობდა სამხედრო საქმეთათვის გაეწვრთნა თავისი შეგირდიო. მაგრამ ასეთი წვრთნა არ მოსწონებოდა იმპერატორს ფრანც-იოსებს და სხვა მასწავლებელი დაენიშნა. 1870 წლიდამ პრინცის სასწავლებლად მიწვეულნი იყვნენ პროფესორები და მსწავლულნი, რომელთაც ნება მიეცათ, როგორც თქვენი სურვილი იყოს და სინიდისმა გამონოთ, ისე უკითხეთ ლექციებიო. ვენგრიის ისტორიას ასწავლიდა რუდოლფს რონაი, რომელიც მონაწილე იყო 1848 წლის აჯანყებისა. რონაის მხოლოდ ეს უთხრეს სახელმძღვანელოდ: ასწავლეთ მართალი. სხვაფრივ როგორც თქვენმა გონებამ გასჭრას და გულმა გირჩიოთ, ისე მოიქეცით და ისე წვრთნეთ თქვენი შეგირდიო.

აი ამ მსწავლულებმა და ვენის უნივერსიტეტის პროფესორებმა შეაყვარეს ახალგაზდა პრინცს სწავლა-განათლება, მეცნიერება და ხელოვნება, ლიტერატურა და ლიტერატურის წარმომადგენელნი.

რუდოლფმა სახელი გაითქვა თავისის ნაწერებით და სამეცნიერო შრომით არა მარტო ავსტრი-ვენგრიაში, არამედ მთელს ევროპაშიაც. რუდოლფი ამასთანავე შესანიშნავი მჭევრმეტყველი და ორატორიც იყო. ყველაზე კარგი სიტყვა მან წარმოსთქვა 1883 წელს ელექტრონის გამოფენაზე ვენაში. ის სიტყვა ასე დაასრულა მაშინ რუდოლფმა: „დეე მოეფინოს ეს ზღვა-სინათლე ქვეყანას ამ ქალაქიდამ და ახალი პროგრესი გავრცელდეს აქედამაო“.

---

# წვრილი ამბები

---

## „მარია-ანტუანეტას ბანდულები“.

გაზ. „Figaro“-ს ერთს შაბათის ნომერში დაბეჭდილია მშვენიერი ისტორიული მოთხრობა „Les sabots de Marie Antoinette“ („მარია-ანტუანეტას ბანდულები“). აი ამ მოთხრობის შინაარსი:

გენერალს ჟილბერტ დე-მოტიეს, მარკიზს ლაფაიეტს, მკვლის-მკვლი, საგვარეულო ციხე-დარბაზი ჰქონია ოვერნს, წიფლისა და წაბლის ტყით გარშემოვლებული. ამ ტყეში ქოხმახობა იყო და ღარიბი ხალხი იდგა თურმე, გლეხები, რომელნიც ტყით საზრდოვობდნენ, ტყით ირჩენდნენ თავს. ზოგი ნახშირსა სწვავდა, მეორენი კათხებს აკეთებდნენ და ხის მუხრუჭებსა სჭრიდნენ, მესამენი ბანდულებს აკეთებდნენ.

ეს ხალხი შრომაში სცხოვრებდა, შრომაში ატარებდა დროს დილიდგან კარგა ღამებამდე და თან დაჰღიღინებდა, რომ საქმისთვის უფრო გაეყოლებინათ გული. მთელი დღე დამურული რახუნი იდგა ცულისა, ჩაქუჩისა, ხერხისა და სხვა იარაღისა.

ამავე სოფელში სცხოვრებდა ახალგაზდა გლეხი, სახელად Razou, რაც ოვერნულის მდაბიო ენით გონიერებასა ჰნიშნავს, ხოლო რადგან ეს ჭაბუკი მეტად ჩუმი იყო, მშვიდი, უშმაკო, Darasou-ს ეძახდნენ, რაც სისულელეს ჰნიშნავს. დარაზუ ბანდულებს აკეთებდა. ამ კაცს ქოხში თოფს ქვეშ დაკიდული ჰქონდა პაწია სურათი მარია-ანტუანეტასი და ამის გამო ხალხიც დასცინოდა, „დედოფლის მოტრფიალეს“ ეძახდა.

ერთხელ როგორღაც გენერალი ლაფაიეტი თავისს ციხე-დარბაზში მივიდა. ამ დროს ტრიანონში, საფრანგეთის მეფეთა სასახლეში, მოდად იყო მეცხვარეთა, მეწისქვილეთა და სოფლის მასწავლებელთა ტანისამოსის ტარება. მშვენიერი დიდ-კაცის ქალები და თვით დედოფალიც ირთვებოდნენ მწყემს-ქალად, მერძევედ და ბანდულებს ატარებდნენ. გენერალმა ლაფაიეტმა ეს ამბავი თავისს გლეხებს უამბო. დარაზო გაოცებისაგან თვალებ-გაჭყეტილი უსმენდა.

— მაშ დედოფალიც იცვამს ბანდულებსა, ბ-ნო მარკიზო?

— იცვამს, მაშა!

— რომ გავაკეთო ერთი წყვილი, გადასცემთ?

— რასაკვირველია, გადავსცემ, თუ დედოფლის შესაფერი იქმნება.

მეორე დღესვე დაროზე ჩაუჯდა საქმეს, დღე და ღამ ალამაზებდა და აკეთებდა თავისს ბანდულებს, ისეთებს, როგორსაც ოვერნელები საცოლეს აჩუქებდნენ და ისიც მვირფასს ნივთსავით უვლიდა, ინახავდა მთელს სიცოცხლეში. ორს კვირას შემდეგ დაროზე წავიდა დარბაზში და გადასცა მარკიზს ერთი წყვილი მშვენიერი ბანდულები.

— აი ბანდულები დედოფლისათვისაო.

მარკიზმა უქო ნამუშავარი და დაჰპირდა, რომ უეჭველად გადავსცემ დედოფალსაო.

ეს ქალამნები წაბლის ხისა იყო, ძალიან კოხტა, ძალიან ლამაზი, ძალიან მშვენიერი, და ტურფა ჩუქურთმა ჰქონდა ზედ გამოყვანილი დანის პირით. ზემოდგან გული იყო ამოჭრილი, სხივებში შეხვეული, თაიგული და თაიგულზე ოთხი ასო: T. T. L. V. მხოლოდ ამ ბანდულებს ერთი ნაკლი ისა ჰქონდა, რომ დიდრონები იყო, გულუბრყვილო გლეხს ეგონა, რომ დედოფალს სხვაზედ დიდი ფეხი უნდა ჰქონდესო.

მარკიზმა ღიმილით ჩამოართვა საჩუქარი, ღიმილით, რადგან იცოდა, რასაცა ჰნიშნავდა ეს ოთხი ასო. დაროზე-კი ბედნიერი და თავისის თავის მადლიერი დაბრუნდა სახლში.

გენერალმა ლაფაიეტმა თავისი პირობა შეასრულა და მივიდა თუ არა პარიჟს, ბანდულები ტრიანონში წაიღო. როცა დედოფალს აძლევდა, ის ამბავიც უამბო, თუ ვისი გაკეთებული იყო. მარია-ანტუანეტას ძალიან უყვარდა ყოველივე გლეხური და აღტაცებაში მოვიდა, რომ ნამდვილი გლეხური ბანდულები მაქვსო.

— სხივებით შემოსილი გული, როგორც ღვთის-მშობელს აქვს, მესმის, რაც არის, მაგრამ ასოები T. T. L. V. რას ჰნიშნავს, მარკიზო?

— თუ თქვენი უდიდებულესობა მიბრძანებს, გადავსთარგმნი ამ ასოთა დაფარულს აზრს.

— გადამითარგმნეთ, მარკიზო, ნებას გაძლევთ.

— ეს ასოები ასე ითქმის: T'aima-rai tauta la vida!

— რას ჰნიშნავს მერე ეგ სიტყვები?

— ოვერნულად ის გამოდის, რომ საუკუნოდ მეყვარებიო.

და ლაფაიეტმა გაიცინა, დედოფალს არც-კი გაუღიმნია.

— მართლაც-და, დედოფალო, ეს ჩემი სულელი მებანდულე გეტრფით და თქვენი პაწია სურათიცა აქვს.

— საწყალი ბიჭო! ჩაუჩურჩულა გულ-მოლბობილმა დედოფალმა: მარკიზო, მე მგონია, რომ ეს ბანდულები ჩემთვის ცოტა დიდრონები უნდა იყოს, მაგრამ მით უკეთესი, რადგან საჩუქარი უფრო...

მარია-ანტუანეტამ რამდენიმე სიტყვა უთხრა პრინცესა ლამბალს. პრინცესამ გაიტანა ბანდულები და ბაჯაღლო ოქროთი სავსე გამოიტანა.

დედოფალმა სთხოვა მარკიზს, რომ ეს ოქრო იმ გლეხს გაუგზავნე და დიდი, დიდი მადლობაც შეუთვალეო ლაფაიეტმა, რაღა თქმა უნდა, განახორციელა დედოფლის სურვილი.

ქარიშხალივით დაიქშუილა 1789, 1792 და 1793 წელმა, კოლლო დ'ერბუამ უკვე მოითხოვა გენერალის ლაფაიეტის ბრალდება, მშვენიერი თავი პრინცესა ლამბალისა უკვე შუბზედ იყო ჩამოცმული და ქუჩა-ქუჩა დაჰქონდათ. დარაზუმ, და სხვებმაც, იცოდა ეს ამბავი და გული ეჭქნჯნებოდა. ბოლოს გაიგო, რომ მეფის გვარეულობა ტემპლშია დამწყვდეული. უფრო დაღონდა, უფრო დამუნჯდა და კრინტი შეკრა, ჩუმი შეიქმნა. ერთს დღეს დაიკარგა იგი თავისის სამშობლო სოფლიდგან და თან წაიღო თავისი მკელი თოფი, ოქრო და სურათი დედოფლისა.

საბრალო წავიდა ფეხით პარიჟში და თან თოფს მიათრევდა. თავისი ოქროები ტანისამოსზედ დაიკერა და მარია ანტუანეტას სურათი-კი გულთან მიიმაგრა. ისე გატაცებული იყო დედოფლით, რომ გულ-უბრყვილოდ მიდიოდა და იმედი ჰქონდა, განვათავისუფლებ, დავიხსნი დედოფალსაო.

17 ოქტომბერს 1793 წლისას ძლივს მიაღწია პარიჟს, გამხდარმა, დაქანცულმა, დასნეულებულმა. ბასტილიის მოედანზედ მივიდა ერთს კაცთან, რომელსაც თრინჯული ქუდი ეხურა და ხელში კეტი ეჭირა.

— როგორ მივიდე ტემპლშიო?—იკითხა.

— მერე რა გინდა იქა, დედოფალი უნდა დაიხსნა განა? შენი დედოფალი გუშინვე გაამგზავრეს საიქიოს! — და მხეცსავით ჩაიხარხარა მთქმელმა.

გაბრაზებულმა გლეხმა მოიგდო თოფი და გაიშვირა, მაგრამ მოასწრეს და დეროზე იქვე დაეცა, კეტით თავ-გახეთქილი.

— აი არისტოკრატი! სცემეთ, მოჰკალით არისტოკრატიო! გაჰკიოდა ეს კაცის მკვლელი.

ბრბო ხალხი, ბრბო უგუნური, უწყალო, თავ-დაუჭერელი, ქგვარა უსულო გვამს. გულზედ უპოვეს დედოფლის სურათი, რომელზედაც ოთხი საიდუმლო ასო იყო გამოყვანილი: T. T. L. V. ოლ, რაღა თქმა უნდა, რომ ეს კაცი შეთქმული იყო, კობლენელი, თავისის ერის მოღალატე და გამყიდველი. და გვამი საბრალო გეროხელ გლეხის მექანამნესი სენაში გადაისროლეს.

---

# დეპეშა

28 იანვარი

პეტერბურგი. „С. Пет. Вѣд.“-ი იუწყება, რომ ავღანის ემირი აბდურახმან-ხანი გამოეკიდა მდევრად ისხაკ-ხანს, რომელიც სარუსეთოში გადაიდა თავის დასაფარავად, და ამ დევნაში 20—30 ათასის ჯარის-კაცით მოუახლოვდა რუსეთის საზღვრებსაო. ხმა ისმის, რომ ამას გარდა ემირმა შეუთვალა ბუხარის ხანსაც, ერთად შევერთდეთ და წინააღმდეგობა დავუწყოთ რუსეთსაო. ბუხარის ხანმა შორს დაიჭირა თხოვნა ავღანის ემირისა, მაგრამ ავღანელები მაინც თავს იყრიან ჩვენის საზღვრების ახლოს. გარეშე საქმეთა სამინისტრომ მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება ინგლისის მთავრობისა და შეუთვალა, რომ ჩვენიცა და თქვენი ინტერესიც მოითხოვს, ისეთი მოუფიქრებელი საქმე არა ჩაიდინოს-რა ემირმა, რომ რუსეთი იძულებული შეიქმნას თავის მხრითაც თოფ-იარაღს მიჰმართოსო.

გზათა მინისტრის მოგზაურობის გამო გაზ. „Нов. Вр.“-ია ამბობს, რომ მინისტრი რუსეთის სამხრეთისკენ წავა ჯერ და მერე ვოლგითა და მარიამის არხით დაბრუნდება პეტერბურგსაო.

შედგენილ იქმნა სატარიფო დეპარტამენტი ფინანსთა სამინისტროსთანაო.

მოსკოვი. დღეს დიდის ამბით იდღესასწაულეს ორმოც-და-ათის წლის იუბილეი ა. ა. შენშინის (ფეტის) სალიტერატურო მოღვაწეობისა. იუბილიარს მიართვეს ადრესი რუსეთის სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოების სახელით, პეტერბურგის მწერლებმა და ცესარევიჩის ნიკოლოზის ლიცეიმ ამას გარდა იუბილიარს მიუვიდა მრავალი მისალოცავი დეპეშა. როცა დეპუტაციები წარსდგნენ იუბილიარის წინაშე, მომღერალთა სთქვეს განგებ ამ დღისთვის შედგენილი საიუბილეო საგალობელი. ყველა მიმლოცველს იუბილიარმა დაურიგა ამ დღისთვის დაწერილი ლექსი: „На пятидесятилѣтіе моей музы“.

რომი. ყველა მეიდნები და ქუჩების შესახვევები ცხენოსანის ჯარით არის დაჭერილი. ქალაქი აღელვებულია და მაღაზიები დაკეტილი. ერთგან ჩხუბი მოუვიდათ მუშებს და პოლიციას. კორსოს მეიდანზე გზა შეკრულია.

30 იანვარი

პარიჟი. ფლოკემ მოსთხოვა პალატას, რომ უპირატესობა მიეცეს იმ კანონ-პროექტის განხილვას, რომელიც შეეხება აღდგენას არჩევანებისას თემ-თემობითაო, და დაჰპირდებით, რომ შემდეგ წარმოვადგენთ პროექტს კონსტიტუციის გადასინჯვისასაო. პალატამ 308 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 243 გადასწყვიტა: დავიწყოთ განხილვა პირველის კანონ-პროექტისა ორშაბათსაო. მერე კიდევ 504 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 9-ისა გადასწყვიტა განვიხილოთ კანონ-პროექტი კონსტიტუციის გადასინჯვისა ხუთშაბათსაო.

რომი. წესიერება აღდგენილ იქმნა ქალაქში. დააპატიმრეს 160 კაცამდე; საჯარო კრებანი აკრძალეს.

კრისპიმ გამოაცხადა დეპუტატთა პალატაში, რომ უწესობა მშვიდობის მომხრე საზოგადოებათა ბრალიაო. სოციალისტმა კოსტმა წინააღმდეგობა დაუწყო კრისპის. ხუთშაბათს დანიშნულია განხილვა ბონგის სარჩიელისა: გამოვეუცხადოთ მთავრობას, რომ გვნდობით და იმედიცა გვაქვს მოახერხებთ ააცილებთ თავიდამ ქვეყანას და მოსპობთ უწესოებასაო.

რომი. არა მართლდება ამბავი კარდინალის ლედოხოვსკის გარდაცვალებისა. აღმოჩნდა, რომ გარდაცვლილა კარდინალი პიტრა.

პეტერბურგი. შინაგანთა საქმეთა მინისტრის გარდაწყვეტილებით სამის თთვით აეკრძალეს ბეჭდვა გაზეთის „Минута“-სა.

პეტერბურგის ბირჟა, 27 იანვარი.

| | მოთხოვნა. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 51 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 150½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 13 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — „ | — „ | 269¼ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 250½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | 98 |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | 97½ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | 82½ | — „ | — „ |

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

16 იანვრიდამ 1 თებერვლამდე.

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3½ „ |
| „ 2 „ | 3 „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 „ |
| „ „ 2— | 4 „ |
| „ „ 3 „ | 3½ „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა . . | 5 „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 „ |
| მე-3 — . . . . | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 „ |
| „ 2 „ | 8 „ |
| სუკი . . . . | 16 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 10 „ |
| ღორის ხორცი . . . | 9 „ |
| „ 2 „ | 8 „ |

# განცხადებანი

ისყიდება

თესლეულობა

ე. იმმერისა

და იმისის

შვილის

სავაჭრო სახლში.

ამ სავაჭრო სახლიდგან ეზიდებიან თესლეულობას მათის იმპერატორებითის უმაღლესობის კარისათვისაც.

ადრესი: მოსკოვს, მიასნიცკი ქუჩა, ობოდინის სახლში.

მსურველს გაეგზავნება დიდ-ძალ სურათებიანი კატალოგი თესლეულობისა: ბოსტნეულობისა, მინდვრისა, ვარდისა და ყვავილისა, თუ გამოგზავნის 35 კაპ. ფოსტის მარკებით.

(15—7)

სრული ლოტო,

რომელიც შეადგენს 60 სულის სათამაშოს, ე. ი. 240 კარტს, აგრეთვე ვაახლებ ძველს ლოტოს და ნომრებს. მსურველთ შეუძლიანთ იკითხონ გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ი. კალატოზოვი.

საზოგადო წასასმელი ლითონთა საწმენდავად საუკეთესო ღონისძიებაა

!მთელის ქვეყნის მირ-ზედ!

უმთავრესი დეპო იმყოფება სამხრეთ რუსეთისათვის ძმათა პეტრო კოკონოებთან ოდესას.




ისყიდება ყველგან.

მყიდველებსა ვსთხოვთ, რომ ყურადღება მიაქციონ ჩვენს ფირმასა და საფაბრიკო მარკას.

(26—4)

გამგე კომიტეტი „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთათვის შემწეობისთვის“ უმორჩილესად სთხოვს წესდების ძალით (პარაგრაფი მე-7) წევრთა ამა საზოგადოებისათა, რომ მობრძანდნენ საგანგებო საზოგადო კრებაზედ ამ 1889 წელს, თებერვლის 26, დილის 10 საათზედ, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ბანკის სადგომში.

კრების განსახილველი საგანი არის: გამგე კომიტეტის მოხსენება, თუ როგორ და რა საშუალებით მოვუპოვოთ ტფილისის ხათავად-აზნაურო სკოლას შესაფერი საკუთარი სახლი.

(3—1)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . . | „ | 40 |
| საქართველოს კალენდარი, გუნისი . . . . . . . | „ | 45 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |




ს.-პეტერბურგის საექიმო გამგეობის ნება-დართულია

ფხვნილი

თმისა და ბალნის მოსაცილებლად

(Poudre dépilatoire)

გ. კ. ბრიუნინგისა, მაინის ფრანკფურტში.

ეს თმისა და ბალნის მოსაცილებელი საშუალება მავნებელი არ არის და სრულიად უვნებელია.

შუშა ჰლირს ბეწვის კალმიანად 2 მან. 50 კაპ., სხვა ქალაქში გაგზავნით 3 მან.

ისყიდება ს.-პეტერბურგს, ალექსანდრე ვენცელთან, ყაზანის ქუჩაზედ.

(3—2)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ. — კ. | 6 თთვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შეიცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე — 40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი — 60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5.

Доз. ценз. Тифлисъ 30-го Января 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე